ქართული აზრი
GEORGIAN OPINION

№ 25 ნიუ-იორკი. აპრილი, 1958 წ. GEORGIAN OPINION NEW YORK. APRIL, 1958

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენადაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე.“

აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.

ასპინძის ომი.

20 აპრილი 1770 წელი.

„ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა
და ან ცაზე ვარსკვლავები...
ვინ შეამკოს ღირსეულად
ქართველ გმირთა მხარ-მკლავები!“

ასე იწყებს აკაკი თავის შესანიშნავ პოემას — „თორნიკე ერისთავს“. ეს სიტყვები სარკეა ჩვენი ისტორიისა! ამ სარკეში მოჩანან დიდი სახეები იმ დიდბუნებოვან გმირთა და ღვაწლით შემოსილ მამულიშვილთა, რომელთაც სისხლით, ოფლით და ცრემლით დასწერეს საქართველოს სახელოვანი ისტორია. თვით ქართველი ერი აკოცხლეს და ღირსეული მემკვიდრეობა გადმოგვცეს. ახალი თაობა ვეღარაფერს შეასრულებს ერისაგან მასზე დაკისრებულ მოვალეობას, თუ მან არ იცის წარსული, არ იცის თავისი ქვეყნის ისტორია. წინაპრების გმირული ბრძოლის მაგალითები, წარსულ თაობათა აები და კარგი, თუ ახალი თაობა ვერ ერკვევა და ვერ ამჩნევს წარსულის აკსა და კარგს; თუ ის აეს არ მოიცლებს და კარგს სამაგალითოდ არ გაიხდის — იგი ვერ შექმნის დიდებულ აწმყოს და ვერ უზრუნველყოფს მომავალს. თაობათა შორის სწორი და შეთავსებული გაგება და თანამშრომლობა იყო ის მძლავრი საფუძველი, რომელმაც საქართველო ზღაპრულ უბედურებას და მრავალჯერ აუცილებელ განადგურებას გადარჩინა.

თანამედროვე ქართველი ახალგაზრდობა, ჯერ გაუგონარი ვერაგი მტრის ხელში იზრდება. ეს მტერი განგებ აბნელებს ახალგაზრდობისათვის წარსული დიდების ღღეებს და წინაპართა ბრძოლების ისტორიას. თუმცა დღეს საქართველოში გაიგონებთ ისტორიული პირების, ისტორიული ომების და სხვა სახელებს, მაგრამ ყველა ამათ ბოლშევიკები თავიანთებურად წარმოუდგენენ ახალგაზრდობას და ისე ასწავლიან და განუმარტავენ, როგორც მარქსისტულ მოძღვრებას შეეფერება. ამგვარად ქართველი ახალგაზრდობა მოკლებულია საქართველოს ისტორიის ნამდვილ გაშუქებას, რომელიც ასე საჭირო და აუცილებელია ეროვნული აღზრდისათვის.

დღეს ჩვენი ყურადღება უნდა შევაჩეროთ ასპინძის ომზე, რომელიც მოხდა 1770 წლის 20 აპრილს. ეს ომი მრავალ მხრივ იყო მნიშვნელოვანი. მისი წინამორბედი მოვლენები განსაკუთრებულ ფონზე იყო გაშლილი და ომის შემდეგმა ისტორიულმა მოვლენებმაც ბევრი რამ ნათელი გახადეს. თემა დიდი და საინტერესოა, მაგრამ ჩვენ მცირედით უნდა დავკმაყოფილდეთ.

მეთვრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი საქართველოსათვის მეტად მძიმე და რთული ხანა იყო. იგი იყო გაგრძელება წინა საუკუნეებში შექმნილი, თითქმის გამოუვალი მდგომარეობისა. მაგრამ იმავე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისიდანვე მდგომარეობა იცვლება: 1762 წელს მეფე ერეკლე ადის ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს ტახტზე და იზრდება რუსეთიდან დახმარების მიღების ცდები. ამან სეროიზულად ჩაფიქრა საქართველოს მაჰმადიანი მეზობლები და სამხრეთის დიდ მეზობელთა შეტევა საქართველოს წინააღმდეგ კიდევ უფრო გაიზარდა. ფრთხილი პოლიტიკოსი და შორსმჭვრეტელი ერეკლე მეორე ცდილობდა მათ წინააღმდეგ მოკავშირეები ეპოვა.

იგი დახმარებისათვის გამუდმებით მიმართავდა ევროპას, მაგრამ რადგან ეს უკანასკნელი გართული იყო თავის საქმეში და საქართველოსათვის არ ეცალა, ირაკლი იძულებული გახდა პირი ისევ რუსეთისაკენ ებრუნა. რუსეთის ვერაგობის ერთი გამაფრთხილებელი მაგალითი ერეკლეს უკვე ჰქონდა ჩვენი ისტორიიდან — 1720 წელს, ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსე, რუსეთის თვითმპყრობელმა პეტრე დიდმა მოზღვავებული მტრის წინაშე მარტო დასტოვა და შეპირება დაიგიწყა. რუსეთის ღალატით გამოწვეულმა ტრაგედიამ კინაღამ მთლად დაღუბა საქართველო, ოომ შემდეგ იგი ერეკლეს გამჭრახობას არ ეხსნა. და აი, მიუხედავად რუსეთის ამგვარი მოქმედებისა, ირაკლი მიენდო ეკატერინეს მიერ მიცემულ წინადადებას, თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირეობისა. ირაკლის მიზანი იყო ამ ბრძოლაში გამოიყენებინა რუსის მხედრობაც და მით საქართველოს სამხრეთის საზღვრები გაემაგრებინა სამცხე-საათაბაგოს შემოერთებით. ასეთი ანგარიში სრულიად ლოიალური იყო, თუ კი მას პირგაუტეხელ მოკავშირესთან ექნებოდა საქმე.

ამ დროს ეკატერინე მეორის მთავრობასაც თავისი ანგარიშები ჰქონდა კავკასიაში. გეოგრაფიულად მეტად მოხერხებული და მაგარი კავკასია სურდა ავან-პოსტად გამოეყენებინა მისი ექსპანსიისათვის სპარსეთ - თურქეთისაკენ. ამ მიზნის განხორციელებისათვის მას განსაკუთრებით სჭირდებოდა ქართველ მეფეთა დახმარება და გაბმა კიდეც. მაცდური და თვალის ამხეევი დიპლომატიური კავშირი და როდესაც 1768 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი, მან ჩაითრია ქართველი მეფეები ირაკლი და სოლომონი. საქართველოში გამოგზავნეს დამხმარე ჯარი გერმანელი ავანტიურისტი განერალის ტოტლებენის მეთაურობით. ტოტლებენი თავისი მთავრობის მიერ დიდი უფლებებით იყო აღჭურვილი და გარდა სამხედრო მისიისა, დავალებული ჰქონდა საიდუმლო პოლიტიკური მისიაც. მას უნდა დაეზვერა ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფოების სტრატეგიული ადგილები და შეედგინა ტოპოგრაფიული რუქა: — კიდევ უფრო მეტად გაეღვივებინა მტრული განწყობილება საქართველოსა და მის მეზობლთა შორის. ერთის მხრით, და მეორეს მხრით თვით ქართველ მეფე-მთავართა შორის. რათა ამით რუსეთს შესაძლებლობა მისცემოდა დაუძლურებული საქართველო ადვილად ჩაეგდო ხელში. ირაკლი ალბად ძალიან კარგად ხედავდა ყველაფერს, მაგრამ ის მაინც სცდილობდა მდგომარეობა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა.

ირაკლი ფიქრობდა, რომ საკუთარი ძალით და რუსთა დახმარებით ის დაიკავებდა სამცხე-საათაბაგოს. შემდეგ კი რუსეთ-ოსმალეთის ზავით მას სამუდამოდ დაიმტკიცებდა. ამასვე ოცნებობდა სოლომონი. ამ ომის დროს ის გაანწმედდა იმერეთს თურქებისაგან და თავიანთ ბრძოლებს მოიპოვებდა.

როდესაც თურქების წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა ირაკლის ლაშქარი, რუსის სარდალი ომის დაწყებამდე ღალატობს ქართველ მეფეს და აწყვეტრთან ბრძოლის დაწყებამდე უკან გარბის. ირაკლიმ ურუსებოთ გადაიხადა ეს ბრძოლა და მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვება. ხოლო 20 აპრილს 1770 წელს სოფ. ასპიძასთან გადაიხადა მთავარი და გმირული ბრძოლა თურქების წინაღმდეგ და ამიერიდან ეს დიდი გამარჯვება შევიდა ირაკლის სახელოვან ბრძოლების ისტორიაში **„ასპინძის ომის“** სახელით. ამ დღეს ირაკლი ეკვეთა თურქების 20.000-იან ლაშქარს და ის სასტიკად გაანადგურა. ბრწყინვალედ გაიმარჯვა ირაკლიმ, ხოლო ტოტლებენი, რომელიც მოელოდა მის დამარცხებას, რომ მერე ეთარეშა საქართველოში, გულდაწყვეტილი იმერეთში გადავიდა. აქაც სოლომონთან ურთიერთობაში მეტად უდიერი საქციელის შემდეგ, მთავრობამ ის რუსეთში გაიწვია. მან დასტოვა საქართველო 1772 წელს და თან წაიყოლა ქართველი ხალხის წყეველა და კრულვა...

მას შემდეგ გავიდა სამი ათეული წელი და ამ ომის დროს რუსეთის საქართველოსადმი საიდუმლო ზრახვა გამოაშკარავდა. 1801 წ. ჯერ შეგობრული გზით შემოიყვანა საქართველოში თავისი ჯარები და მერე მას ანექსია მოუხდინა, დაიპყრო და დაეპატრონა მის მიწა-წყალს...

დღეს, როდესაც ვიგონებთ ასპინძის ომს, არ უნდა დავივიწყოთ და არ შევცდეთ, რომ რუსეთი იგივეა, რაც ოდესღაც ყოფილა.. წოთელი და თეთრი რუსეთი ერთი და იგივე მიზნით არის გამსჭვალული. საქართველოს არასოდეს ეღირსება მშვიდობა და თავისუფლება, ვიდრე იგი არ განთავისუფლდება რუსეთის კლანჭებიდან. დღეს კი, ასპინძის ომის მოგონება ბევრს ეფიზება. ბევრი ამ ბრძოლაში დაღუპულ გმირთა ხსოვნის წინაშე!...

კავკასიის პროგლემა

მოხსენება, წაკითხული ქართულ - კავკასიურ კრებაზე, 1946 წელს მიუნხენში.

პროფ. მიხ. ახმეტელი.

პოლიტიკურ - იურიდიულ მეცნიერებათა და ფილოსოფიის დოქტორი.

პირველმა და უმთავრესად მეორე მსოფლიო ომმა მოახდინა უაღრესი რევოლუცია კაცობრიობის ცხოვრებაში. მსოფლიო შეიკუმშა: სახელმწიფოები ყოველმხრივ ერთმანეთში გადახლართა. დინამიური სისწრაფით ხდება არამც თუ ფინანსიურ ეკონომიური, არამედ პოლიტიკური და მილიტარული ძალების კონცენტრაცია. დღეს მხოლოდ დიდ სახელმწიფოებს აქვთ საშუალება უახლეს ტექნიკის გამოყენების. მსოფლიო პოლიტიკური ვითარება ღებულობს ორგანიულ ხასიათს. მსჯელობენ მსოფლიო თთავრობის შექმნაზე.

მეორეს მხრივ ხდება ერთგვარი ატომიზაციის პროცესი. საშუალო და პატარა ქვეყნებში იბრძვიან თავიანთი ნაციონალური - სახელმწიფოებრივი დამოუკიდებელი არსებობის შესანარჩუნებლად. პოლიტიკური სისუსტე აიძულებთ მათ, თავიანთი სუვერენული უფლებები მსხვერპლად გაიღონ და რეგიონალურ ფარგლებში შეკავშირდნენ. ქმნიან ფედერაციებს, კონფედერაციებს სხვა და სხვა კონსტიტუციონალურ სტრუქტურით, რომლის საფუძვლად იდება უმთავრესად საერთო საგარეო, სამხედრო და ფინანსიურ - ეკონომიური პოლიტიკა. ამ გზით ეს სახელმწიფონი ცდილობენ თავიანთი განცალკევებული სუსტი პოზიციები გაამაგრონ და საერთო ძალებით ექსპლოატატორთა მისწრაფებებს შეებრძოლონ. ჩვენ ვხედავთ, რომ დღითი-დღე ამ გვარი მოძრაობა ფართო ხასიათს ღებულობს.

საქართველო, საუბედუროდ, არ წარმოადგენს იმ გეოგრაფიულ - ტერიტორიალურ, ეკონომიურ, კომუნიკაციურ და საერთოდ გეოპოლიტიკურ ერთიულს, რომ მან მხოლოდ თავისი მნიშვნელობით და ძალებით თავისი უძველესი სახელმწიფოებრიობა აღადგინოს და დაიცვას. და ეს მიუხედავად მისი გმირული და დიდი წარსულისა, დიდი მსხვერპლისა და დამსახურებისა ევროპიული ქრისტიანული ქვეყნების მიმართ. უკანასკნელი 150 წლის განმავლობაში საქართველოს თავისი სახელმწიფოებრიობა რომ კიდევ შეენარჩუნებინა, ის მაინც დღეს იძულებული იქნებოდა მეზობელ ერებთან შეკავშირების გზას დასდგომოდა.

მხოლოდ კავკასიის კონფედერაციის ნიადაგზე შეიძლება საქართველოს და მით უმეტეს კავკასიის დანარჩენ ერებს, თავისი სახელმწიფოებრიობის აღდგენა, განმტკიცება და დაცვა. რომ საქართველოს ნაც. პოლიტიკა სპეკულაციურ გზას ასცდეს, ჩვენ ეს რეალობა უნდა შევიგნოთ და აქედან შესაფერი დასკვნები გამოვიტანოთ.

კავკასიური ხაზი, კავკასიის კონფედერაციის კონცეპცია, ამასთანავე არ არის საქართველოსთვის ახალი. უკვე ძველ საუკუნეებში, საქართველოს მეფეები იძულებულნი ხდებოდნენ ამაზე ეფიქრათ. ისინი ხედავდნენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, მისი დაცვა და პოლიტიკური გაძლიერება მის ეთნოგრაფიულ საზღვრებში ძნელდებოდა. ამიტომ ისინი მიისწრაფოდნენ, მეგობრობით თუ ბრძოლით, მეზობელი ერები თავის გარშემო შემოეკრიბათ და ამ გზით საერთო კავკასიის ბაზა შეექმნათ. კავკასიის ამგვარი კონცეპცია ახასიათებს დავით კურაპალატს, დავით აღმაშენებელს, თამარ მეფეს და სხვა. ასე რომ, კავკასიის ერთობის საკითხის დაყენებით საქართველო უბრუნდება თავის ისტორიულ წარსულს; ეს წარსული კი გვიკარნახებს კავკასიის გზას.

კავკასიური კონფედერაცია შეიძლება იყოს მრავალფეროვანი კონსტიტუციონალური შინაარსისა: ერთის მხრივ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირი, მეორეს მხრივ ფედერატიული საკ. სახელმწიფო. საქართველოს მისწრაფება უნდა იყოს ყოველგვარ სტრუქტურულ საშუალებათა ამოწურვით, შესძლოს სახელმწიფოთა კავშირის შექმნა. ყოველ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს უფლებრივი შესაძლებლობა თავისი შინაური ცხოვრება, თავისი მართვა-გამგეობა, სოციალურ - ეკონომიური, სულიერ - კულტურული ვითარება ისე მოაწყოს, როგორც მის ერსა სურს. მსოფლიო სამეფონეო ურთიერთობის გადაკვანძა აიძულებს კავკასიის კონფედერაციას გარეშე ქვეყნების წინაშე ერთ მთლიან ერთეულად წარსდგეს. უკვე კავკასიის საკომუნიკაციო მდგომარეობა და ალიანსი ოკეანეებლად ხდის საერთო საბაჟო, სატარიფო და ფინანსიურ-ვალიუტურ პლატფორმის შექმნას. ამ გზაზე უკვე ძველად დგებოდნენ მეზობელი ერები. დღეს ამგვარ კონვენციების შეკვრა ფართო ხასიათს ღებულობს.

მაგრამ უმთავრესი ძირითადი პირობა და საფუძველი კავკასიის კონფედერაციის შექმნისა, მისი შენარჩუნებისა და გამაგრებისა არის მისი საგარეო პოლიტიკა, საერთო ორიენტაცია კავკასიის სახელმწიფოებისა; ორიენტაცია კავკასიაზე. ეს უნდა იყოს დოგმა კავკასიის ერების პოლიტიკური სულისკვეთებისა. ცენტროფუგალური მისწრაფებანი, პოლიტიკური სპარატიზმი ფუნდამენტალურ საგარეო ურთიერთობის საკითხებში, დალუპავს არა მარტო კავკასიის კონფედერაციას, არამედ ცალკე სახელმწიფოებსაც.

როგორც შორეულმა წარსულმა, ისევე ახალმა ისტორიამ გვიჩვენა, რომ როდესაც კავკასიის ერები ერთმანეთს მეგობრობდნენ, გაერთიანებულნი, ხელი-ხელს მიცემულნი იცავდნენ თავის საერთო სამშობლო კავკასიას, მაშინ აღორძინების გზას ადგებოდნენ. ხოლო როგორც კი მათში შური, ღვარძლი და გათიშვა სუფევდა, როდესაც ისინი სხვა და სხვა გარეშე ძალებზე ორიენტაციას ახდენდნენ, ერთი მეორის წინააღმდეგ იბრძოდნენ, ჰკარგავდნენ თავისუფლებას; იძარცვებოდნენ, ინგრეოდნენ და ისრისებოდნენ. რუსეთის 1917 წლის რევოლუციის შემდეგ, როდესაც კავკასის ერებმა ნაციონალური დამოუკიდებლობა მოიპოვეს, შესაძლებელი კავკასიის სახელმწიფოთა განვითარება სხვა გზით წასულიყო, რომ მათ საერთო პოლიტიკური პლატფორმის შექმნა მოეხერხებინათ.

ამიტომ საქართველოს წმინდა მოვალეობაა, ამ შინაურ მტერს მთელი ძალღონით შეებრძოლოს და სძლიოს. კავკასის ერთა შორის ერთმანეთისადმი ნდობა აღადგინოს და დაამკვიდროს. თუ კავკასიის ერებმა შესძლეს ამგვარი მეზობლური ცხოვრების შექმნა, მაშინ გარეშე მტრები ვერ შეუშლიან ხელს კავკასიის კონფედერაციის შექმნას და განმტკიცებას.

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ერთის მხრივ თვით კავკასიაში საბჭოთა რუსეთის ბატონობის, მოსკოურ ტერორის ქვეშ მოქცეული კავკასის ერების წოალში ძლიერი სეპარატისტული სულისკვეთება შეიქმნა. მათი აზროვნება მიმართულია არა მარტო მოსკოვის წინააღმდეგ, არამედ მათში გაღვიძებულია და ფესვი გაიდგა კავკასიელრმა თვითშეგნებამ, კავკასიურმა პატრიოტიზმმა და სოლიდარობამ. ამრიგად, ადგილობრივად, კავკასიაში უკვე ეყრება საფუძველი კავკასიურ კავშირს. თვით საბჭოთა მეცნიერები კავკასიას ახასიათებენ, როგორც განსაკუთრებულ მთლიან გეო-ეკონომიურ მთლიანობას. საფიქრებელია, რომ მსოფლიო პოლიტიკური ძალები და მათი დაწესებულებანი იძულებული იქნებიან ამ გარემოებას ანგარიში გაუწიონ და კავკასიის კონფედერაციის შექმნას ხელი შეუწყონ და ეს უფრო გაძლიერდება, რამდენადაც მსოფლიოში მშვიდობიანობის დამყარებისათვის, ისინი შეიმცნობენ კავკასიის ეკონომიურ მნიშვნელობას და პოლიტიკურ ოლ. როლს. მსოფლიოში იშვიათად მოიპოვება კავკასიის ოდენა ტერიტორია, რომელიც ასე მდიდარია ბუნებრივი სიმდიდრეებით, მნერალური და ორგანიული განძეულობით, თავისი მრავალფეროვანი მეურნეობით, თავისი სამიმოსვლო და საერთოდ გეოეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობით.

აქ შორს წაგვიყვანს ამის ციფრებით ილუსტრაცია. ერთის მხრივ ნავთის, შავი ქვის, ცინკის, კალის ფოლადის, ალუნტის, მოლიბდენის, ვოლფრამის და სხვა მადნეულობის წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოება, მეორეს მხრივ მეხორბლეობა, მესაქონლეობა, მეღვინეობა, მეაბრეშუმეობა, საკულიალური მაღალი კულტურის მოყვანა, როგორც ჩაის, ციტრუსების, სამედიცინო, ზეთების მცენარეთა, მეტყეევობა, თავისი სპეციფიური ჯიშებით და სხვა მრავალი რამ ახასიათებს კავკასიის ეკონომიკას. აქ ჩამოთვლილია უმთავრესად ის სამეურნეო დარგები, რომელთა ნაწარმოები თვით მოთხოვნილებას აჭარბებს და მათი ნაწილობრივი გატანა შეიძლება მსოფლიო ბაზარზე.

შემდეგ კავკასია წარმოადგენს კარებს, იაფ ხიდ-გზას მდიდარი ცენტრალური და შუა აზიისაკენ. თუ ჩვენ ამას მივუმატებთ კავკასიის განთქმულ მინერალურ წყლებს, მის ბუნებრივ სილამაზეს, მის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას, მაშინ გავიგებთ თუ რუსეთს კავკასიაზე ხელის აღება რატომ არ უნდა.

კავკასიის კონფედერაცია თავისი ტერიტორიით და მოსახლეობით მიახწევს დაახლოებით საშუალო სახელმწიფოს დონეს. თუ გავითვალისწინებთ მის ეკონომიურ, გეო-სტრატეგიულ მნიშვნელობას და აგრეთვე მისი ერების სიცხოველეს, კულტურულ-ინტელექტუალურ თვისებებს, კავკასია ამაყად ამოუდგება ევროდზე ყველა საშუალო სახელმწიფოებს.

(გაგრძელება იქნება)

ფითელი აკადემიკოსი

კაცობრიობის ისტორია მრავალი სახის ტირანიას იცნობს, მაგრამ მათ შორის პირველი ადგილი თანამედროვე საბჭოთა ტირანიას უჭირავს. სტალინის და მისი მემკვიდრეების ბერდიდთ ფერმკრთალად მოსჩანან ველური მონგოლეთის მრისხანე მფლობელები, ხოლო საბჭოთა საიდუმლო პოლიციის სიმაკრეზე, შეუბრალებლობამ და უსამართლობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა! ის დაიუფლა არა მარტო სახელმწიფო ძმართველობას და მის ადმინისტრაციას, არამედ ადამიანის გონებას და სულს. მთელი საბჭოთა მოსახლეობა გადაქცეულია ერთ უპიროვნო უფლება აყრილ მასად, რომლის ერთად ერთი უფლება, მორჩილება და კრემლის ნება სურვილების ასრულებაა.

საბჭოთა ტირანიის ქვეშ მგმინავი ერების ისტორიაც, „უფროსი ძმის, დიდი რუსის ერის“ ამა თუ იმ ქვეყანაში გაბატონებით იწყება; მათის „ძმური“ დახმარებით და „მონდობებით“ არა რუსი ერები „ერად“ ქცეულან და საკაცობრიო ასპარეზზე გამოსულან! ასეთია მოსკოვის ისტრუქცია და ამას მძლავრად მოსცდებია ზოგიერთი, მახინჯი სულის „აკადემიკოსი“. ამის შემდეგ სავსებით გასაგებია, მეავანაძე-ძოწელიძეს ყიენი: „ვის რაში უნდა ფეოდალური საქართველოს ისტორიაო“. ამის და მიხედვით, არა მარტო ხმარებიდან უნდა განვდეენოთ დამსახურებულ ქართველ მეცნიერების დიადი შემოქმედება, არამედ სრულიად უნდა მოისპონ, აღგაონ და ქართველი ხალხის მეხსიერებიდან წაშალონ სამშობლოსთვის თავგანწირვის გმირული მაგალითებით სავსე ისტორია.

მიზანი სწორია და გონიერად მოფიქრებული! ყოველი დამპყრობელი დაპყრობილის წარსულს ებრძვის. განსაკუთრებით ისეთი ერის, როგორც ქართველი ერია, რომლის წიაღშიც ყველაფერი დაშენებულია წარსულზე, მაშულისათვის მძიდენელ თაობათა თავდადების და თავგანწირვის მაღალ ნიმუშებზე. ამიტომ დაჭკათ მას! გაჭკივის მეავანაძე და მას ბანს აძლევს ს. ს. ს. აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ძოწელიძე.

„სჯობს მონობაში გადიდაკეცებულს, თავისუფლების ძებნაში მკვდარო“, ამბობს ქართული სიბრძნე და თანამედროვე ქართველ მწერალ-მეცნიერთა დიდმა ნაწილმა დაიდგა მოწმებრივი გვირგვინი და ბევრი შეეწირა ერისა და პიროვნების თავისუფლების მაღალ პრინციპებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ქართულ საზოგადოებაშიც აღმოჩნდნენ მდაბალი სულის და ბუნების მატარებელი ხალხი, ვინც ერისა და პიროვნების თავისუფლებისათვის ბრძოლაში სიკვდილს, მონობაში გადიდაკეცება არჩიეს და სისხლის მსმელ დამპყრობელს ერთგულობა და მორჩილება გამოუცხადეს.

აი, ამ სულმდაბალი ხალხისაგან შექმნა მოსკოვმა „წითელი პროფესურა“ და ახალი არისტოკრატია და საბჭოთა ტირანიის სამირკელადაც სწორედ ეს იქცა. მონობაში განდიდებულთა ყურს აღარა სწვდება თანამოძმეთა ტანჯვა, კვნესა-ვაება და ვმინვა. მათ მიზნად დაისახეს ცხოვრებისაგან მიიღონ მაქსიმალური სიტკბოება ყოველ პირობებში და ყოველ საფასურით და ამის გასანაღდებლად არავითარ სიყალბეს არ ერიდებიან. მაღალი ადამიანური პრინციპები: მეგობრისა და მოყვასის გატანა, დავრდომილის დახმარება და ფეხზე დაყენება და ერის სასიკოცხლო უზენაეს მიზნებისათვის თავის დადება, ეს მხოლოდ „ბურჟუაზიული და კაპიტალისტური“ გამოთქმებია და მათი მიმდევრების მოვალეობა! წითელი არისტოკრატია კი მონურად უნდა ემორჩილებოდეს კრემლის სურვილებს და ცეცხლითა და მახვილით ანადგუროს ამაზე.

მონური სულის მატარებელი არისტოკრატიის შორის სპპატიო ადგილი უჭირავს ვინმე ხაჭაპურიძეს, რომელზედაც ჩვენი მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ. ხაჭაპურიძე თურმე საქართველოს „საბჭოთა სოციალისტური აკადემიის“ წევრი ყოფილა და წიგნიც დაუწერია, რომელსაც ეწოდება: „საქართველოს ბოლშევიკები საბჭოთა რეჟიმის დასამყარებელ ბრძოლებში.“ ეს წიგნი განსახიერებაა საბჭოთა „მოღვაწის“ მდაბალი ბუნების. მისი სითაღლეითის, თვალთმაქცობის და სწორედ იმის, რაც თავში მოგახსენეთ: საბჭოეთის მიერ დამონებული ერების ისტორია რუსული ბოლშევიზმით უნდა დაიწყოს, ხოლო თვით ამ ერთა ჩამოყალიბება და შექმნა „დიდი რუსეთის ხალხის“ დახმარებით და წყალობით უნდა მოხდეს.

მოსკოვის ლაქია აკადემიკოსის მტკიცებით, მეცხრამეტე საუკუნეში ქართველი ხალხი, „დიდი რუსეთის ხალხის დახმარებით ერად გადაქცეულა“! მეცხრამეტე საუკუნეში, რომ ქართველ ერს უკვე ჰქონდა ეროვნულ სახელმწიფოებრივი ცხოვრების ორიათასზე მეტი წლის ისტორია, ეს კრემლის ლაქია აკადემიკოსისათვის ან უცნობია, ან „დიდი რუსის ხალხის“ ინტერესებში არ შედის ამის გახსენება.

რუსეთის მეორე სახელმწიფო სათათბიროში, მეფის ერთი მაღალი მოხელის შენიშვნას, განსვენებულმა ნ. ჩხეიძემ უპასუხა: როდესაც თქვენები ტყეში დარბოდნენ, მაშინ ჩემი წინაპრები სახარებას სთარგმნიდნენო. ასე გამოსახა განსვენებულმა საქართველოს მაღალი კულტუროსნობა და დიადი წარსული, რაც უფლებას აძლევს ქართველს თავისი სახელმწიფოებრივი გრძელი ტრადიციით და კულტურულ შემოქმედებითი საკაცობრიო მნიშვნელობის მაღალი ნიმუშებით, მაღლიდან დაბლა დახედოს „უფროს ძმას და მასწავლებელს“. რომლის წყალობითაც, ხაჭაპურიძეს მტკიცებით, მეცხრამეტე საუკუნეში ქართველი ხალხი ერად ქცეულა.

ჩვენ, მომავლისათვის შევეცდებით, ხაჭაპურიძეს სიცრუეეთა მძივი ცალ-ცალკე დავხსნათ გავარჩიოთ და მკითხველს მისი ნამდვილი ბუნება გადაუშალოთ. ახლა კი მოვიშველებთ რუსთაველს (რომელსაც ალბად ხაჭაპურიძეს, ან იმისმა ტამბოველმა ბატონებმა ასწავლეს წერა-კითხვა, ან შთაგონება მისცეს) და ვიტყვით:

„რა უთქვამს, რა მოუჩმახავს
რა წიგნი მოუწერია“.

დონი.

რუსული იმპერიალიზმი და ქართული კატრიოტიზმი.

I

„რა არ გადაგვხდენია თავს, რა მტრები მოგვსვეგიან, ვი-ვაგლახი, რა სისხლი, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია. რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გაუძელით, ყველას გაუმაგრდით, შევინახეთ ჩვენი თავი, შევირჩინეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი. ლანგა-თემურებმა ჩვენს საკუთარს სისხლში გვაბანეს და მაინც დავრჩით და გამოვცოცხლდეთ. შაჰ-აბაზებმა ჩვენის კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი წვრილ-შვილნი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით. აღა-მაჰმად-ხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვსრნეს, მოგვეტიტეს და მაინც ფეხზე წამოვდექით, მოვშენდით, წელში გავსწორდით. გაუძელით საბერძნეთს, რომსა, მონგოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, რჯულიანსა და ურჯულოს. დრომა ქართველობასა, შუბის წვერით, ისრით და ტყვეით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის წაავლებინეთ, არავის დავანებეთ, არავის შევგვინებინეთ. ცოდვა არ არის ეს დროშა ეხლა ჩრჩილმა შეჭამოს, თავკმა დაგვიჭრას!.. დროჟამი მას გვიქადის...

„ყველა ეს შეგიძელით და საკითხავად საჭიროა, რამ შეგვაძლებინნ? რამ გვიხსნა?..... მან, რომ ვიცოდით იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე, მისი ფარ-ხმალი. ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით. ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. ან რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა! იმ დროთა ჩარხზედ გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარ-ცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამჭედურში ნაჭედნი. „სილმა გვქონდა ნაქსოვისა“. ვით ქრისტიანებს, და „სიმტკიცე ნაჭედისა“ ვით მეუღლესა და მამულიშვილს. ამით გავიტანეთ თავი. დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯელობა. ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმინინა; ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიანს მტერს გაუძელით, გადავრჩინ. ქვეყანა და სახელი შეინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ. შევინახეთ, საქოლავი არავის ავადებინეთ. ხმლით მოსულმა ვერა დაგვაკლო რა. შრომით და გარჯით, ცოდნით, ხერხით მოსეული კი თან გაგვიტანეს, ფეხქვეშიდან მიწას გამოგვაცლის. სახელს გაგვიჭრის, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან, თუ შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს, შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დაუფენეთ.“

ასე სწერდა და მოსთქვამდა, ხანგრძლივი საუკუნეების განმავლობაში ომებითა და ბოლოს დაპყრობით დასუსტებული, დაძაბუნებული, ქონებრივად და გონებრივ-სულიერად დაცემული ქართველი ერის მესაიდუმლე, მისი აღორძინების მეთაური და მედროშე დიდი ილია.

შეუძლებელია, რამოდენიმე ასეულ წელთა განმავლობაში საკუთარი სისხლისა და ცრემლის ზღვაში ნაბანები ქართველი ერისა და მისი ქვეყნის რაობისა და მდგომარეობის, მეტის სიხუსტით, მეტის სრულყოფითა და განსახიერებით აღწერა. ამ რამოდენიმე მჭიდროთ დაწერილ სტრიქონებში მოცემულია მთელი „ქართლის ცხოვრების“ მოკლე და მკაფიო დასკვნა, გარდმომცემი და მასწავლებელი ხანგრძლივი წარსული ცხოვრების, იქედან გადარჩენილი ჩვენი რაობის, აწმყოს სურათი. მძიმე და მეტად სახიფათო მომავლისადმი მი-

საუბარი გენერალ ა. ა. ვლასოვთან ქარლსბადში.

(მოგონებათა რვეული:

(დასასრული. დასაწყისი იხ. № 24-ში.)

***

ახლა ვლასოვი თავის მხრივ დამეკითხა, თუ მის დაწყებულ საქმეს როგორ უყურებენ ქართული ეროვნული წრეები. უნებურად ჩვენი საუბარი გადავიდა რუს-ქართველთა დამოკიდებულების ამბებზე.

ვუთხარ რა თავდიდანვე, რომ ამ ჟამად მე ვლაპარაკობდი მხოლოდ ჩემი პირადი პასუხისმგებლობით, როგორც ქართველი ნაციონალისტი, რომელიც 40 წელიწადი განუწყვეტელივ იბრძვის ქართულ ეროვნულ ფოლტზე საქართველოს ეროვნულ უფლებათა აღდგენისათვის — ვანუცხადე შემდეგი:

— თქვენ, ალბად გაცნობილი იქნებით წარსული ხანის, რუსეთ-საქართველოს სამეფოთა დამოკიდებულების ისტორიას. ამიტომ მე აღარ შევეხები ამ შორეული ამბავის მოთხრობას, რომელმაც მიიყვანა ქართველი ხალხი 1918 წ. რუსეთის იმპერიისაგან გამოყოფამდე. მით უმეტეს რომ ამ წარსულ რუსეთს დიდმა რევოლუციამ ჯერარი გადუსვა და რუსეთის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ 1920 წ. მაისში, განსაკუთრებული ხელშეკრულებით, დადებულს საქართველოს დემოკრატიულ რეს. მთავრობასთან, აღვიარა საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და რუსეთის სახელით საყოველთაოდ განაცხადა უარი ყოველივე უფლებებზე საქართველოზე, მის ხალხზე და მთ მიწა-წყალზე. ალბათ მაშინ თქვენც იყავით, ბატონო გენერალო, თუ ერთ ერთი მონაწილე არა, პასუხისმგებელი მოწმე მაინც, რუსეთის ახალი მთავრობის ამ ცნობილი ისტორიული აქტისა.

მაგრამ ათი თვის შემდეგ, 1921 წელს, თებერვალში, საბჭოთა მთავრობამ დაარღვია საკუთარი ხელშეკრულება და თავისი წითელი ჯარით , ომით დაიპყრო საქართველო; მოსპო მისი საკუთარი მთავრობა და ძალით დაუწესა ქართველ ხალხს თავისი ძალაუფლება და სოციალ-პოლიტიკური რეჟიმი. იმ დღიდან დღემდე ქართული ეროვნული ბანაკი დაპირისპირებულია მოსკოვის მთავრობასთან და ერთი მეოთხედი საუკუნეა ებრძვის მას იქ სამშობლოში და აქ მის გარედ ევროპაში. ამიტომ უცხოეთში მყოფი პოლიტიკური ქართველობა დიდის ყურადღებით შეხვდა თქვენს პრაგულ დეკლარაციას და თქვენ სურვილს ბოლშევიკური რეჟიმისაგან განთავისუფლებისა და ეროვნული რუსეთის აღდგენას. ყველა ქართველი განურჩევლად მიმართულებისა თანაგრძნობით შეხვედა.

მხოლოდ თქვენ დ ე კ ლ ა რ ა ც ი ი ს იმ ნაწილით, რომელიც არა რუს ერების საკითხს ეხება და მათ შორის საქართველოსაც, ჩვენ, ქართველები, არა ვართ კმაყოფილნი. თავში არ გვაკმაყოფილებს სახელი თქვენს მიერ დაარსებული პოლიტიკური კომიტეტისა: „რუსეთის ერების განმანთავისუფლებელი კომიტეტი.“ ეს სახელი აძლევს საბაბს ქართველობას, იფიქროს, რომ თქვენნ პოლიტიკური გეგმა გულისხმობს ძველ სამეფო რუსეთის უფლებათა აღდგენას საქართველოზე და აქარწყლებს „საბჭოთა კავშირის“ კონსტიტუციის იმ ნაწილს, რომელიც ფორმალურად ანიჭებს საქართველოს თავისუფალ სახელმწიფოს სახეობას. ამავე დროს თქვენს კომიტეტში პოლიტიკური მებატონე, მხოლოდ რუსების წარმომადგენლობაა. ზოგიერთი კავკასიური პერსონაჟიდან შედგენილი „კავკასიური კომიტეტი“, როგორც დამატება რუსეთის კომიტეტისა, დეკორატიული ხასიათისაა და რეალურ წონას არ წარმოადგენს. მხოლოდ უნდომლობას იწვევს რუსეთის იმ დიდ განახლების მოძრაობისადმი, რომელიც დაწყებულია თქვენი თაოსნობით. ამიტომ პოლიტიკური ქართველთა არ იღებს მონაწილეობას ამგვარად დაწყებულ საქმეში.

მეფეთა რუსეთის მიერ დაპყრობამდე, კავკასიაში საქართველო წარმოადგენდა მაღალ საუკუნეთანა ისტორიის მატარებელ სახელმწიფოს. თავისი ღინსტეიფი, კულტურით. ტრადიციებით, სარწმუნოებით, რომელთა დაცვისათვის ქართველმა ხალხმა ზღვა სისხლი შეალია. ჩვენს დროსაც იგი აღსდგა მოდერნული დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოს სახით. ასეთი ქვეყანა და ხალხი არას დროს დანებდება გაითქვიფოს სხვა ერში და სახელმწიფოში. რუსული ისტორიის გადმოცემა, ვითომ საქართველოს უკანასკნელმა მეფემ ჩაუქა თავისი ქვეყანა და ხალხი რომანოვთა რუსეთს — არის მოურიდებელი სიყალბე, „ნებაყოფლობითი შემოერთების“ ზღაპრის სახით გავრცელებული რუსეთში. ამ მავნე ზღაპარს ბოლო უნდა მოეღოს, რადგან იგი სწამლავს რუსულ-ქართული განწყობილების ჰაერს.

ამის ინიციატივა ახლა, თქვენ, ანდრეი ანდრეიჩ, რუსეთის ეროვნულ - პოლიტიკური განახლების მოძრაობის მეთაურმა უნდა იკისროთ და საქართველოს მიმართ გამოასწოროთ ის ორი დიდი შეცდომა — უსამართლობა. რომელნიც ჩაიდინეს ჯერ რომანოვთა იმპარიამ და მერე ბოლშევიკურმა რუსეთმა, თუ გსურთ საბოლოოთ თქვენს საქმეს გამარჯვების გზა გაუხსნათ.

ქართველი ხალხი არას დროს ყოფილა მტერი რუსეთისა. პირიქით ძველი დროიდან თავის მეგობრობის და ნდობის გრძნობები რუსეთისადმი მრავალი მაგალითით დაუმტკიცა. რუსეთმა კი ორივე შემთხვევაში კრილოვის ცნობილი იგავ-არაკის უპასუხა, სადაც მგელი უთვლის კრავს: „შენ დამნაშავე ხარ იმით, რომ შენი შეჭმა მსურსო!“ მაგრამ ქართველები რომ „კრავები“ არ არიან, ამის მოწმე ბრძანდებიან დღეს, როცა თქვენ გიხდებათ ახლა ბრძოლა ისეთ „ეეფხვთან“, როგორც სტალინ-ჯუღაშვილია, რომელიც ერთი მუჭა ქართველი კომუნისტებით, ეს ოცი წელიწადია, თითქმის მებატონეთ შეიქმნა მთელი რუსეთისა. მაპატიეთ ანდრეი ანდრეიჩ, ამ ჩემს მოურიდებელ ყველა აქ ნათქვამისათვის, მაგრამ ამ მწარე ქართულ სინამდვილეს ვერ დაგიმალავთ, რადგან დიდი მოსურნე ვარ ორულ-ქართული, ნორმალური, მეგობრული განწყობილების დამკვიდრებისა...

— დიდის ყურადღებით და სიამოვნებით ვუსმენდით თქვენს ახდილ გულწრფელ სიტყვას, — სთქვა ვლასოვმა — არც მსურს შეეიტანო თქვენს სიტყვაში რაიმე საწინააღმდეგო დისონანსი. მხოლოდ მინდა მოკლედ გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითება; ჩვენი სრული გადაგვარების. ეროვნული ვინაობისა და მეობის აღმოკვეთის და უქართველოთ დარჩენილი ქვეყნის, მტრისაგან საბოლოოთ დაპატრონების შიში.

აი ის დიდი ხიფათი და საშიშროება, რომელიც მოუახლოვდა ჩრდილოეთიდან და კავკასიონის მთებიდან თავზე წამოადგა იმდროინდელ საქართველოს.

ილია ჭავჭავაძე, როცა ჩვენს გადარჩენაზე ლაპარაკობს, უთუოდ გულისხმობს ჩვენი ეროვნული მეობის შენახვა-შენარჩუნებას, და არა ძველათ არსებული დიდი და ძლიერი საქართველოს და ქართველი ერის მთლიანათა და უკლებლივ გადარჩენას. ეს ნაშთიც მას ღვთის სასწაულთა შედეგათ და ღვთის წყალობათ მიაჩნდა და ამ ნარჩენ ძირებზედ ფიქრობდა და ცდილობდა ის ქართული აღორძინების წამოწყებას.

მან კარგად იცოდა, რომ ოქროს ხანის ქართველობას დიდი იმპერია ჰქონდა, ტრაპიზონის სამთავროს თანდართვით, 12 მილიონიანი მოსახლეობით, რომლის ბრთვი 5 მილიონიანი ქართულ მოდგმისა და ჯიშის მოსახლეობა იყო, აყვავებული მატერიალურად და სულიერად. ურჯულო და რჯულიან მტერთაგან სისტემატიურათ განადგურებისა, გაელეტისა და წასხმის შემდეგ მისდროინდელი საქართველო, ბედის დაცინვით, ჩრდილოეთის იმპერიის ორიოდე გუბერნიას წარმოადგენდა და მისი ქართული მოსახლეობა 2 მილიონსაც კი ვეღარ აღწევდა, დაცემული ქონებრივად, გონებრივათ და სულიერათ.

არა მგონია მსოფლიოში მოიპოვებოდეს მეორე ქვეყანა, რომელსაც იმდენი სხვა და სხვა რჯულის და რასის მტერთა თავდასხმები და შემოსევები განეცადოს. მართლა და ვის არ დაუდგამს მისი მტრული ფეხი, კავკასიის სამხრეთ-დასავლეთის კალთებზე დასახლებულ-დამკვიდრებული ქართველი ერის მიწა-წყალზე: ბერძენთ, ოსმალთა, სპარსელთ, არაბებს, სელჯუკებს, ლეკებსა და ერთმორწმუნე რუსებს არა ერთხელ აუკლიათ, დაუნგრევიათ. ამოუწყვეტიათ. ათასობითა და ათიათასობით ტყვედ წაუსხამთ ომებში დამარცხებული ქართველობა. უკანასკნელთა შთამომავლობა ათასობით არიან ღღესაც განნეულნი სპარსეთ-ოსმალეთისა თუ რუსეთის სივრცეებში. ამ უამრავ მტერთაგან საქართველოს შეუჩერებელი განადგურების სანიმუშოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი დედა-ქალაქი თბილისი. მრავალჯერ იქმნა აღებული, დანგრეული. დაწვარი და სისხლნადენი. ასეთივე უბედობა წილხვიმილი იყო მთელი საქართველოს ნაწილებისათვის, მტის თუ ნაკლების სიძლიერით. მხოლოდ აღა-მაჰმად-ხანის მიერ 1795 წ. ენკენისთვის 11-ს თბილისის აღების დროს, როგორც ქალაქი ისევე მთელი ქართული მიწასათან იქმნა გასწორებული და მისი მოსახლეობის 160.000 კომლიდან 35.000 გადარჩა.

მისი სახელმწიფოებრივად არსებობის უკანასკნელ საუკუნეთა მანძილზედ ქართველი ერი სამ დიდ იმპერიათა შორის მოიმწყვდა და საოკაინის ნებისყოფით უმკლავნდებოდა მათ მუდმივ თავდასხმებს. მართლაც საკვირველთაგან საკვირველია და სასწაულთაგან სასწაული, რომ ქვეყანა მეტად შემეცრებული და ერი რიცხვობრივად მეტად ნაკლული, მაგრამ ჩვენი ეროვნული მეობა და ვინაობა მაინც რომ გადაურჩა, როგორც მომავალ აღორძინებისა და აღმავლობის საფუძველი, იმ უძლიერეს ისტორიულს ქარტეხილსა და სისხლიან წვიმებს, ქრისტიანულ საქართველოს რომ გამდგმებით ევლინებოდნენ სამხრეთ - აღმოსავლეთ და ჩრდილოეთის საზღვრებიდან. ძველ ყამთა სილრმეში, ძველის დროებითი მიზნით, ძველის ხერხითა და იარაღით მომბტყარ მტერს, ძველი საქართველოც ერთობლივი თუ ორად განაწილებული, ძველისავე ხერხითა და იარაღით უმკლავდებოდა.

(გაგრძელება იქნება)

ელ. პატარიძე.

კასუხი უფრ ოს მეგობარს.

თქვენი გულახდილი შენიშვნები სიამოვნებით წავიკითხე... წაეიკითხე მრავალჯერ და დიდის დაკვირვებით.

ყოველ შენიშვნას. ის იქნება უფროსი თუ თანატოლი მეგობრისაგან. დიდის პატივით ვეკვეთთ; მით უმეტეს, საპატოოა და ღირდა დასაფიქრებელი შენიშვნები. რომლის ავტორი მასწავლებლად უფრო გვეკუთვნის, ვიდრე (გინდ უფროს.) მეგობრად.

რადგან დარწმუნებული ვართ. რომ წინა წერილმა (ქართული ემიგრაცია და ბოლშევიკები) უსათუოდ სხვა მეგობრებშიც წარმოშვა მსგავსი აზრი. ამიტომ უმჯობესად მივიჩნიეთ ღია წერილით გიპასუხოთ. რათა ყველამ იცოდეს თუ რა განზრახვითი იყო დაწერილი „ქართული ემიგრაცია და ბოლშევიკები" და რა მიზნის ემსახურება.

უპირველესად ყოველსა კატეგორიულად უნდა მოგახსენოთ, რომ არავითარი სურვილი არა გვქონია, საპოლემიკოდ გვეთქვა სიტყვა და მომავალშიც. არც ამის და არც სხვა შემთხვევის ვამი **არავითარ პოლემიკაში არავისთან არ შევალთ. მით უმეტეს, ღმერთმა დაგვიცვას იმ განზრახვისაგან, რომ „ჯულის მოსაფხანად", ან ვინმეს „კბილის მოსაჭრელად" რაიმე ვთქვათ, ან მოვიმოქმედოთ.**

ჩვენი მიმოხილვის პირველი და უკანასკნელმ განზრახვა იყო და არის. შექმნილი მდგომარეობის ანალიზით დაგვემტკიცებინა ემიგრანტული აღრევის დასრულების აუცილებლობა. შესაძლებელია ყველა ის ნეგატიური ძალები, რომლებიც ზღიან და ქსაქსაფენ ეროვნულ ენერგიას და რომელთა მოქმედების ლოღიკას მოსკოვში მიეყავართ — თავიანთი სურვილის წინააღმდეგ მოქმედობენ და შეუგნებლად მტრის წისქვილზე ასხვენ წყალს! შეიძლება ვერცა გრძობენ. რომ გამორიტებით და კინინაობით „გაწია-მაწიობია" მხოლოდ მტრის ინტერესებში შედის და ეროვნულ განმანთავისუფლებელი ბრძოლის ფრონტს უმეცრად აღლვევენ და ასუსტებენ?

ამ მიმოხილვის მიზანი იყო, მომქმედისათვის დაგვენახებინა, თუ რომელ სალაროში შედის მისი „ნაღვაწი" და ვის ამდიდრებს.

ჩვენ არ გვინდა წარმოვიდგინოთ და დავიჯეროთ, რომ ერთი ძველ ბატივცემული და დარბაისელი ქართველი მანდილოსანი (რომელიც, რათა საბჭოთა კინომ არ იზარალოს, მის ბილეთებს პარიზში კარიდან კარზე დაარბენინებს და ჰყიდის) კვლავ გაიმეორებს ამას, თუ კი დარწმუნდება, რომ „ქართულ პეიზაჟების" მნახველების მიერ გადახდილი ფული საქართველოს ეროვნული უფლებების დათრგუნვას და მთელ სამყაროში კომუნიზმის გაბატონების პროპაგანდას ხმარდება.

ჩვენ გვწამდა და დღესაც გვწამს, რომ თუ ოჯახი გაიყო და მისი ნაწილები ერთი მეორეს სამკვდრო საციცხლოდ დაუპირისპირდა, ის სამუდამოდ დაინგრევა და აღიგვება დედამიწის პირიდან. ამგვარ, უკვე დანაწილებულ ოჯახად მიგვაჩნია ჩვენი ემიგრაცია, რომლის გამრთელება, გაჯანსაღება და ერთის მიზნით გამსჭვალვა საჭირო და გადაუდებელია.

როგორ უნდა მოხდეს ჩვენი ოჯახური მთლიანობის აღდგენა და მისი საერთო მიზნებით დაინტერესება, თუ ყოველმა ოჯახის წევრმა არ შევიგნეთ ჩვენი ფსიქოლოგიური და პრაქტიკული მოქმედების შეცდომები? როგორ შეიძლება ჩვენმა ოჯახმა ლელო გაიტანოს, ეროვნულ განმანთავისუფლებელ და ანტიკომუნისტურ ბრძოლაში თავისი საღმრთო მოვალეობა მოიხადოს, თუ ის არ განიტკეცთება პროვოკატორული და პროკომუნისტური ფსიქოლოგიისაგან და ჩვენში არ აღსდგება ერთი მეორის ნდობა-დანდობა და პატივისცემა?

თეორიულად ყველა დარწმუნებული ვართ. რომ მოსკოვი არც ერთი ქვეყნის ემიგრაციას თავისი საიღუმლო აგენტების გარეშე არ დასტოვებდა. მაშასადამე, არ დასტოვებდა არც ჩვენსას. ამის გამოსარკვევად და შავისაკენ თეთრის გასარჩევად ღმერთისაგან ბოძებულია მხლოდ ლოღიკა. ყოველი პიროვნების, თუ ჯგუფის მოქმედების ლოღიკა ამყოვნებს მის შიხნს და მიმართულებას. ძველად გამიგონია: სიტყვა ცოე შეიძლება და ცრემლიც ყალბი! არა ,ცარა პატრიოტული სიტყვიერებით შეიარაღება და ამ გზით მიამტკი ადამიანისათვის თვალში ნაცარის შეყრა. დასაშვებია. რომ ზოგიერთის მოქმედება, რომლის ლოღიკასაც მოსკოეში მიეყავართ, გამოწეეული იყოს კინიანობით, უვიცობით, საზოგადოებრივი ხასიათის მოვლენების მცდარი შეფასებით და საზოგადოებრივი ცხოვრების და მისთვის მიძღვნილობისათვის მოუმზადებლობით. მაგრამ ეს ხელს არ უშლის ვიფიქროთ, რომ ამგვარ მასაში, ან მათ უკან, ან მათ გვერდით, ბოლშევიკებს თავიანთი ნდობის კაციც ჰყავდეთ და ამბიციებით გაბერილი უტვინო ჯიაველები, თავის სასარგებლოდ აბრუნონ და ამოქმედონ. ოჯახის მთლიანობის ინტერესი მოითხოვს, ერთსაც და მეორესაც, საზოგადოებამ თავისი საკადრისი ადგილი მიუჩინოს და მათ ოჯახის ეპპობის და განაპობების ერთი მეორეზე დაპირისპირების შესაძლებლობა მოუსპოს.

მიუნხენის „დემოკრატიულ კავშირს" ჩვენ სრულებით არ ვიცნობთ. არ ვიცით არსებობს კიდევ თუ არა. ჩვენ მხოლოდ ვიცით მათი წარსული „ფუსფუსი", რომლითაც მიუნხენის ქართული საზოგადოების მეტად ნაყოფიერ მუშაობას ძირი გამოუთხარეს. ვიცით მხოლდ. რომ მისი ორი მეტად თვალსაჩინო წევრი, ბოლშევიკ-პროვოკატორი გამოდგა და დღეევანდლამდე არავის ამის გამო უბრალო მწუხარებაც არ გამოუთქვამს!

როგორ შეიძლება ქართულ ემიგრაციაზი მტერთან შეურიგებლობის და ბრძოლის ფსიქოზი გააბატონოთ, თუ არ შეიქმნა ერთი იმისთანა მორალური ავტორიტეტი, რომელიც აღარძალავს, ვსთქვათ, ისეთ პროვოკაციულ გამოსვლებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა და აქვს ნიუ-იორკელ „ჩვენ გზაში" და მის იდეოლოგების მოქმედებაში? აბა გადაშალეთ ალინშნული ჟურნალის 3-მე ნომრის 43 გვ.. იქ ამოიკითხავთ შემდეგს: „ეჩი მუდმივია, რეჟიმი წარმავალი, ვისაც გნებავთ წადით და განგრძეთ ბრძოლა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ".

„გამოჩნდნენ ისეთი სულმოკლენი, ამ მოწოდებაშიც შეეტანათ შხამი, მაგრამ რომელი საუკუნის დიდ ქართველს არ მოხვედრია ჯოხი პაწაწუნა კაცუნებისგანო".

ეს ეხება 1946 წელში ერთი მცხოვანი მოღვაწის მიერ გაკეთებულ დეკლარაციას, რომელიც იმდენად არაპოპულიარული გამოდგა, რომ მისი პატივისმცემლები სიამოვნებით დახვედნენ მას, რომ ამით შეიძლებოდეს საზოგადოების მეხსიერებიდან მისი წაშლა. აქ აღსანიშნავია ორი გარემოება; 1. მცხოვანი მოღვაწის დეკლარაციიან ამოღებული ციტატა ბეყალბებულია. იქ ვერა ნახავთ: „წადით და განაგრძეთ ბრძოლა არსებული რეჟიმის წინააღმდეგო". ან კი რა ლოღიკაა მტერთან შერიგების და საბჭოთაში დაბრუნების დეკლარაციას ზედ მოადგა ბრძოლისა და წინააღმდეგობის მოწოდება?! 2. ავტორიტეტულ მოღვაწის ზურგს ამოფარებული ავტორი იქდენად გაუტაცია კომუნიზმთან შერიგების და უკან დაბრუნების იდეის პროპაგანდის ცდას, რომ შეურაცყოფას აყენებს მთელ ემიგრაციას (მათში დეკლარაციის ავტორის პარტიის დიდ უმრავლესობასაც) და სულმოკლეებს ეძახის ყველას, ვინც ბოლშევიზმთან შერიგება არ გაიზიარა და თავისუფლებისათვის ბრძოლა არჩია.

მეორეს მხრივ ეს შეიძლება საპროკოკაციოდ იყოს დაწერილი. ავტორმა შეიძლება იანგარიშა, რომ თუ საზოგადოებას ერთხელ კიდევ მოაკონა ეს არა პოპულიარული დეკლარაცია, შეიძლება აწ აღსრულებული მისი ავ-

---

გიმარტოთ სამი მთავარი დებულება ჩემი პრაგული დეკლარაციისა და აგრეთვე აგიხსნათ ჩემი პრაქტიკული ნაბიჯების ავ-კარგიანობა.

მთავარ მიზანს დეკლარაციისა შეადგენს მოწოდება დღეევანდელ საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი საერთო ბრძოლისაკენ, საერთო მტრის — სტალინის ბოლშევიზმის დამხობისათვის. მეორე — ბოლშევიკებისაგან განთავისუფლებული რუსეთის შინა წყობის მომავალს. ჩემი დეკლარაცია გულისხმობს მის ეროვნულად განახლებას ორიგე წინა რეჟიმებისაგან; არც მონარქიზმი, არც ბოლშევიზმი. ე. ი. გულისხმობს ეროვნულ, ხალხისნაირი მმართველობის რუსეთს. და მესამე — არა რუს ერების ეროვნულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება, იმდენად, რომ მან არ შეარყიოს თვით რუსეთის შინა თუ საგარეო არსებობის მდგომარეობა. ამ მზნისათვის დაარსებული საერთო კომიტეტი, სადაც გარდა რუსებისა, შემოდიან სხვა ერთა წარმომადგენლებიც. მართალი გითხრათ, უკვე ბევრი ლაპარაკი გვქონდა მის სახელწოდებაზე. ახლანდელი კომიტეტის სახელით უკმაყოფილო სხვებიც არიან, მაგრამ ჯერ ხნობით სხვა ვერაფერი გამოვნახეთ. საერთოდ კი უნდა მოგახსენოთ, რომ ახლანდელი ომის მძიმე პირობებში და გერმანული შინა პოლიტიკის ჩარჩოში, პრაქტიკულად, კომიტეტის შედგენა და განსაკუთრებით რუსული ნაწილისა, ძალიან გაძნელებული იყო, და მეც ვარ ბევრით უკმაყოფილო. მათ შორის კავკასიური ნაწილის სუსტი შემადგენლობით და მეთაურობითაც. მით უმეტეს რომ მას აკლია მთავარი სექცია — ქართველები. ქართველების მონაწილეობას ჩემს მიერ დაწყებულ საქმეში დიდათ ვაფასებ; მაგრამ ზოგიერთ თქვენ თანამემამულეთა გაელენით, რომელნიც დაკავშირებულნი არიან ყველა ჩვენ დამლუპველ გერმანულ აღმოსავლეთურ სამინისტროსთან, ქართველთა წრეები განზე არიან გამდგარნი. ეს გავლენას იხდენს კომიტეტში შემავალ სხვა ერთა წარმომადგენლებზედაც და აფერხებს საერთო მუშაობის გაშლას. ახლა, ამ ჩვენი შეხვედრის შემდეგ იმედი მეძლევა. რომ ამას გამოვასწორებთ, თუ თქვენ მოისურვებთ მონაწილეობის მიღებას კავკასიური საქმიანის მოვლაში. გთხოვთ მიპასუხოთ, ჩემის მხრივ რა პირობებს შესრულება დამჭირდება, რომ პასუხისმგებელი პოლიტიკური ქართველობა. ჩვენ. რუსებს გვერდში ამოგვიდგეს? — ამ შეკითხვაზე ვლასოვი შეჩერდა, რადგან შემოსულ ლაქიამ მოახსენა მას სადილობის დრო.

— დღეს ჩემი სტუმარი ბრძანდებით. პასუხი გამეცით საღილის შემდეგ — და ვლასოვმა მომკიდა ხელი და წამიყვანა სასადილო ოთახში. გემრიელ საჭმელთა რიგი, თანდაყოლილი კაი რუსული ვოდკით და ფრანგული ღვინით. ნახევარ საათში მოვთათვეთ და კვლავ დაეუბრონდით შეწყვეტილ საუბარს.

— მაშ გისმენთ.. რას ბრძანებთ ჩემი შეკითხვის საპასუხოთ? — მომმართა ვლასოვმა.

— მთავარი და პირველი პირობა პოლიტიკურად პასუხისმგებელ ქართველობისათვის. მათ შორის ჩემთვისაც, თქვენ მიერ დაწყებულ დიდ საქმეში მონაწილეობის მიღებისათვის — არის ის. რომ თქვენ განმანთავისუფლებელ ბრძოლა გიგმაში აღვიაროთ აღდგენა თავისუფალ საქართველოს სახელმწიფოსი. ბოლშევიკური მოსკოვის მიერ 1921 წელს წაქცეულის. ამას თქვენ განუცხადებთ გერმანულ მთავრობასაც, რომელმაც უნდა დაუფონებლივ დაგვიმტკიცოს საკუთარი, უფლება მოსილ „ქართული ეროვნული კომიტეტი", რომლისათვის ქართველები ეს ხუთი წელიწადია იბრძვიან ბერლინში. თუ ეს მოხდება, ქართველებს შეეძლებათ წარმოადგინონ თქვენ შტაბში თავისი სამხედრო - პოლიტიკური რწმენებიანები და ამავე დროს დაალაგონ კავკასიის ერთა საერთო კავკასიური ცენტრი. ამ თანასწორუფლებიანი კავშირის და საკავშირო მუშაობის სახით აღსდგება რუს-ქართველ-კავკასიელთა შორის ის მეგობრული განწყობიანები, რომელიც საჭიროა თქვენთვისაც და ჩვენთვისაც საერთო შინაურ და საგარეო პრობლემების დასაძლევად ამ მძიმე და რთულ ხანაში. ეს ის საკავშირო გზაა, რომლისაკენაც პატარა საქართველო თავისი მეფეებით, მთავრებით და ხალხთან 300 წლის განმავლობაში სიტყვით, წერით და მოქმედებით მოუწოდებდა დიდ რუსეთს. მოუწოდებდა თანამშრომლობას, როგორც სახელმწიფოსი — სახელმწიფოსთან...

ვლასოვი ჩაფიქრებული სდუმდა. უცაბად წამოიწია წინ სავარძელში და მითხრა:

— ჩემთვის მისაღებია ეს პირობები.მეტს გეტყვით: მზათ ვარ ამ მიმართულებით ყველაფერში დაგეხმაროთ.. იმოქმედეთ. აცნობეთ საჩქაროთ თქვენს პოლიტიკურ მეგობრებს და ეხლავე შეადგინეთ „დამოუკიდებელი ქართული ეროვნული კომიტეტი". ჩემს განკარგულებაში დიდი სახსრებია. ჩემი საქმის მოგვარებისათვის არაფერს დავიშურებ. მხოლოდ ეჩქარეთ, რადგან დრო აღარ გვიდის.

— მადლობელი ვარ თქვენი კეთილ, სანუგეშო პასუხისათვის, აგრეთვე დახმარების წაყენებისათვის, რომელმაც ენდა დაუფონებლივ დაგვიმტკიცოს საკუთარი, უფლება მოსილ „ქართული ეროვნული კომიტეტი", რომლისათვის ქართველები ეს ხუთი წელიწადია იბრძვიან ბერლინში. თუ ეს მოხდება, ქართველებს შეეძლებათ წარმოადგინონ თქვენ შტაბში თავისი სამხედრო - პოლიტიკური რწმენებიანები და ამავე დროს დაალაგონ კავკასიის ერთა საერთო კავკასიური ცენტრი. ამ თანასწორუფლებიანი კავშირის და საკავშირო მუშაობის სახით აღსდგება რუს-ქართველ-კავკასიელთა შორის ის მეგობრული განწყობიანები, რომელიც საჭიროა თქვენთვისაც და ჩვენთვისაც საერთო შინაურ და საგარეო პრობლემების დასაძლევად ამ მძიმე და რთულ ხანაში. ეს ის საკავშირო გზაა, რომლისაკენაც პატარა საქართველო თავისი მეფეებით, მთავრებით და ხალხთან 300 წლის განმავლობაში სიტყვით, წერით და მოქმედებით მოუწოდებდა დიდ რუსეთს. მოუწოდებდა თანამშრომლობას, როგორც სახელმწიფოსი — სახელმწიფოსთან...

ვლასოვი ჩაფიქრებული სდუმდა. უცაბად წამოიწია წინ სავარძელში და მითხრა:

— ჩემთვის მისაღებია ეს პირობები.მეტს გეტყვით: მზათ ვარ ამ მიმართულებით ყველაფერში დაგეხმაროთ.. იმოქმედეთ. აცნობეთ საჩქაროთ თქვენს პოლიტიკურ მეგობრებს და ეხლავე შეადგინეთ „დამოუკიდებელი ქართული ეროვნული კომიტეტი". ჩემს განკარგულებაში დიდი სახსრებია. ჩემი საქმის მოგვარებისათვის არაფერს დავიშურებ. მხოლოდ ეჩქარეთ, რადგან დრო აღარ გვიდის.

— მადლობელი ვარ თქვენი კეთილ, სანუგეშო პასუხისათვის, აგრეთვე დახმარების წაყენებისათვის. მხოლოდ ვეჭვობ. რომ ამ ხანად შეიძლებოდეს რაიმე პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა. ძალიან დაგვიანებულია. ბერლინის ევაკუაციის გამო ქართული პოლიტიკური ბანაკი გაფანტულია. ხმის მიწოდებაც ერთმანეთისთვის გაძნელებულია, მით უფრო ქართველების თავის მოყრა.. ზეგ მივდივარ კარლსბადიდან სამხრეთ გერმანიისაკენ. გზა და გზა, ვეცდები ვინახულო ჩვენი პოლიტიკური ხალხი და გავაცნო თქვენი პასუხი. თუ შეიქმნება ხელსაყრელი პირობები, იმედია, ორივე მხარე შეეცდებით განვახორციელოთ დღეს პრაქტიკულად რაზეცაა გვქონდა აქ ბჭობა. მხოლოდ თუ ეს ახლა არ მოხერხდა, მაშინ ეს ჩვენი „მორიგება" ალბათ შეეა თქვენ „სახვალეო" გეკმაზეა... ახალ საგარეო პირობებში. —ვსთქვი და წამოვდექი ფეხზე. უკვე ვვიანი იყო, რადგან ჩვენმა საუბარმა ორნახევარი საათი გასტანა.

გენერალ ვლასოვმაც მხურვალეთ ჩამქიდა ორივე ხელში და კვლავ გამიმეორა: — იმოქმედეთ ამ მიმართულებით.. დაიგულეთ ვლასოვი დღესაც და ხვალაც თქვენს ერთგულ დამხმარეთ!..

მიუნხენი, 21-6-1945.

დ. ვაჩნაძე.

ეპილოგი:

1945 წ. 7 მაისს მოხდა დამარცხებული გერმანიის კაპიტულიაცია. გამარჯვებულ ანგლო ამერიკელებმა გენ. ა. ა. ვლასოვი, მალიშკინი და სხვა უფროსი მისი თანაშემწე, გადასცეს თავის მოკავშირე ბოლშევიკებს. 1946 წ. 2 აგვისტოს, გენ. ვლასოვი თავისი თანაშრომლებით სიკვდილით იყვნენ დასჯილნი მოსკოეში.

ტორი ქირდეის საგნად გაიხადოს, რაც ყოველი მიზეზის გარეშე გამიიწვევდა ემიგრანტული დასების ერთი მეორეზე დაპირდაპირებას და მათში ახალი განხეთქილების და შფოთის ჩამოგდებას. მიეყავართ თუ არა ამგვარ საქციელის ლოიალის მოსკოვში? და თუ მიყავართ, საჭიროა თუ არა ამგვარად განწყობილი ხალხი ან თვით ჩავაგდოთ გონში, ან მის შემყურებლებს მოვლენების სწორი და ნამდვილი გაშუქება მივცეთ. რათა პროოკა